თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №14

თბილისი, 14 ნოემბერი, 2016

სხდომა დაიწყო 09.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე მაჩიტიძე;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ნანა ქავთარაძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

– გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

– ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
– „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – თამარა სართანია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ლელა ტალიური;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
– „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 09:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. მთავარი პროკურატურის ანგარიში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით;

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაცია მიმდინარე საჩივრების განხილვებთან დაკავშირებით;

3. ინფორმაცია უწყებათაშორის კომისიაში წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებზე;

4. სხვადასხვა.

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ საარჩევნო ადმინისტრაციაში შესული საჩივრების განხილვისა და არჩევნების შედეგების გამოქვეყნების თარიღთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი კალანდარიშვილს.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ, არსებული მონაცემებით, სასამართლო წარმოება მიმდინარეობს მცხეთისა და მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით; ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. მისი თქმით, 15 ნოემბერს, სავარაუდოდ, დასრულდება ეს პროცესი სასამართლოში და ცესკო 16 ნოემბრისთვის უკვე მზად იქნება არჩევნების საბოლოო შედეგების შესაჯამებლად.

შემდეგ ქალბატონმა თეა წულუკიანმა მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა მთავარი პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ, საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, სიახლე შეეხებოდა გორის რაიონის სოფელ სობისში 30 ოქტომბერს საარჩევნო უბნის მიმდებარე

ტერიტორიაზე მომხდარ შემთხვევას, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ 125-ე მუხლით ერთი პირია მიცემული და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ სხვა საქმეებზე მიმდინარეობდა აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო სასამართლოში მიმდინარე საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებები ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

ქალბატონი თეა წულუკიანის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ცესკო არჩევნების შედეგებს 16 ნოემბრისთვის შეაჯამებს, უწყებათაშორისი კომისია თავისი საქმიანობის საბოლოო ანგარიშს 17 ნოემბერს გამოაქვეყნებს. ამ მიზნით, მან სთხოვა შესაბამის უწყებებს კონკრეტულ შემთხვევებსა და საქმეებზე რეაგირების შესახებ განახლებული და საბოლოო ინფორმაციის გამოგზავნა უმოკლეს ვადაში.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შეეხო უწყებათაშორის კომისიაში საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოსაზრებების განხილვას. მისი განცხადებით, წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა დღის ბოლოს (14 ნოემბერი) იწურებოდა. ამ ეტაპზე სამდივნოში შესაბამისი ინიციატივები წარმოადგინეს არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის" (ნატალია ხოხიაშვილი), ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიამ" (გრიგოლ გაგნიძე) და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ". ამასთან, ერთობლივი რეკომენდაციები წარმოდგენილია სამი არასამთავრობო ორგანიზაციის („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება") მიერ.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ვინაიდან კანონმდებლობით უწყებათაშორისი კომისია ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისთანავე წყვეტდა მუშაობას, აღნიშნულ წინადადებებზე უშუალოდ იუსტიციის სამინისტრო იმუშავებდა, წინადადებების ინიციატორები კი ჩაერთვებოდნენ სამუშაო პროცესში. იქვე კომისიის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტრო იმსჯელებდა მხოლოდ იმ წინადადებებზე, რომელთა განხილვის უფლებამოსილებასაც უწყებათაშორის კომისიას საარჩევნო კოდექსი ანიჭებდა. კომისიისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა განხილული ის საკითხები, რომლებიც საარჩევნო მოდელის ცვლილებას ან საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების საკითხებს ეხებოდა.

კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ბატონი გრიგოლ გაგნიძე („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია") და ბატონი დანიელ დავითაშვილი („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"), რომლებმაც მადლობა გადაუხადეს

უწყებათაშორის კომისიას გაწეული სამუშაოსათვის და იმ შესაძლებლობის მიცემისთვის, რაც კომისიის საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას გულისხმობდა. აქვე ბატონმა დანიელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად ისარგებლებდა კომისიის თავმჯდომარის შემოთავაზებით და მისი ორგანიზაცია დღის ბოლომდე წარმოადგენდა საკანონმდებლო წინადადებებს.

შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ვლადიმერ ბოჟაძეს („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"), რომელმაც მადლობა გადაუხადა უწყებათაშორის კომისიას და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას რამდენიმეთვიანი ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის. ამასთან, მან ხაზი გაუსვა კომისიის იმ გადაწყვეტილების მნიშვნელობას, რომელიც შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის დადგენას და სრულყოფას. ბატონმა ვლადიმერმა განაცხადა, რომ მათი ორგანიზაცია აპირებს უწყებათაშორისი კომისიისთვის რეკომენდაციით (წინადადებით) მომართვას, რომელშიც ხაზგასმული იქნება ცესკო-ს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების აუცილებლობა. ბატონი ვლადიმერ ბოჟაძის ინიციატივას მხარი დაუჭირა ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია").

ქალბატონმა თეა წულუკიანმა სხდომის მონაწილე პირებს კომისიის მუშაობის დადებითად შეფასებისათვის მადლობა გადაუხადა; ამასთან, გამოეხმაურა ბატონი ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებას და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ამომრჩეველთა ერთიანი სიის დადგენისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ. მისი განცხადებით, პროექტი დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის – შემოღებულ იქნა ბიომეტრიული ფოტოსურათიანი საარჩევნო სიები; ჩატარდა არაერთი უფასო აქცია ბიომეტრიული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის მიზნით, რამაც საბოლოოდ ორ-ნახევარ მილიონამდე მონაცემის დაზუსტება და უტყუარობა განაპირობა. როგორც ქალბატონმა თეამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი წლისთვის იუსტიციის სამინისტროს სისტემისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის შემცირება იგეგმებოდა, ამომრჩეველთა სიების ფორმირება, დაზუსტება და დახვეწა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს და მსგავსი უფასო აქციები 2017 წლისთვისაც განხორციელდება, მით უმეტეს, რომ წინ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება გველოდება. მან იქვე საზოგადოების ინფორმირებულობისთვის დაამატა, რომ ახალ წლამდე კიდევ იგეგმება უფასო პირადობის ელექტრონული მოწმობების გაცემის აქცია.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს, სამდივნოს და დამსწრე საზოგადოებას უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში

რამდენიმეთვიანი აქტიური თანამშრომლობისა და გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ ეს იყო კომისიის ბოლო სხდომა, ვინაიდან ცესკო უახლოეს დღეებში შეაჯამებს არჩევნების შედეგებს და კომისია, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, შეწყვეტს თავის საქმიანობას.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე.

სხდომა დასრულდა 09:45 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: